საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3204
06/07/2022

3204-21-2-202207061709

შპს „ჭერს“
მის. ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №2
ელ. ფოსტა: ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2282 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი/დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;
- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის (ტეშენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ქ. ქუთაისში, სულხან-საბას ქ. №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 03.05.24.217). თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული საწარმო განთავსებულია სულხან-საბას გამზირის №4ა-ში, შესახვევი II. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის გენ-გეგმაზე დატანილია სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტები, თუმცა, მითითებული არ არის მათი განთავსების GPS კოორდინატები;
- საწარმოს სამუშაო რეჟიმის (240 დღე, დღე–ღამეში 8 სთ) და გადასამუშავებელი ტეშენიტის ქვის (0.1 ტ/სთ) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს წელიწადში გადასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობა (200 ტონა);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „საყოფაცხოვრებო მიზნისათვის წყლით მომარაგება ხდება საწარმოო ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭიდან“. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ჭის GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო